სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებისას

(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

ომარ ოქროპირიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ვაშაკიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ომარ ოქროპირიძე

01.06.2018

აბსტრაქტი

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ,,უცხო ელემენტით“ დატვირთული სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირება განხორციელდა 1998 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველო კანონი ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. კანონით განისაზღვრა ,, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე საპროცესო სამართლის ის ნორმები, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას“.

იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე მსოფლიოში ყოველდღიურობად იქცა სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების დამყარება, ქართული სამართლებრივი ურთიერთობებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გასცდა ლოკალურ ფარგლებს და საერთაშორისო ხასიათი შეიძინა. დღევანდელ რეალობაში ხშირია შემთხვევები როდესაც ქართველი ფიზიკური და იურიდიული პირები სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან უცხოურ მეწარმეებთან, აქედან გამომდინარე აქტუალურია აღნიშნული ურთიერთობებიდან გამომდინარე დარღვეული სამართლებრივი უფლების, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით აღდგენის შემდეგ, ამ გადაწყვეტილების მოპასუხე მხარის ქვეყანაში ცნობა-აღსრულება.

ბოლო წლებია საქართველოში საკმაოდ გაიზარდა ,,უცხო ელემენტით“ დატვირთული საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით არ აქვს მდიდარი, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული გამოცდილება საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ბევრი საკითხის განმარტება და კვლევა გახდა საჭირო. ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი აღნიშნული საკითხებიდან უჭირავს უცხო ქვეყანაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას საქართველოში. განსაკუთრებით, თუ რა კრიტერიუმებით იდგენს ქართული სასამართლო საერთაშორისო კომპეტენციას ცნობა-აღსრულებისას.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კანონში ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით არის ბევრი ზოგადი და ხარვეზიანი ნორმა, იწვევს სხვადასხვა სახის ინტერპრეტაციებს, რაც ხელს უშლის ერთიანი სასამართლო პრაქტიკისა და მიდგომების ჩამოყალიბებას.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისას საერთაშორისო კომპეტენციის კრიტერიუმების პრობლემის კვლევა, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე ჩვენი სამართლებრივი სივრცის სრულყოფისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სამართლებრივი სისტემის მიმზიდველობასა და მხარეების უფლებების დაცვას საერთაშორისო მასშტაბით.

Abstract

In the Georgian legislation the regulation of legal relations loaded with “foreign element” was implemented in 1998, when Georgia enacted International Private Law. This law determined which legal order is applied when there are factual circumstances of a case related to a foreign law, as well as the rules of procedural law that are applied during these proceedings.

Taking into consideration that in the modern world it has become routine to establish legal relations between physical individuals and legal entities of different countries’, after the break-up of the former Soviet Union, Georgian legal relations went beyond the local scope and acquired international character. In today’s reality, it is very frequent that Georgian physical individuals and legal entities establish legal relationships with foreign entrepreneurs. Therefore, after recovering infringed right based on the mentioned relationship by court's decision, it is urgent to enforce the present decision in defendant's country.

In recent years in Georgia international private legal relationships loaded with “foreign element” have increased significantly. Taking into account the fact that Georgia, compared to developed countries, does not have extensive theoretical, as well as practical experience in international private law it became necessary to define and research many problems. One of the central issues from the problems mentioned above is the enforcement of foreign awards in Georgia. Especially, according to what criterion Georgian Court has the competence of enforcement.

In Georgian law problems connected with the enforcement of “International Private Law”, there are many general and defective norms in judicial, as well as in the theoretical literature. Thus, it causes different types of interpretation and hinders the development of single judicial practice and approach.

The aim of the present paper is to research the problem of criteria of competence about the recognition and enforcement of decisions made in the foreign country by the Supreme Court of

Georgia, as well as to develop recommendations for the improvement of our legal system based on the experience of developed countries, this will contribute to the attractiveness of Georgian legal system and defense of rights of parties internationally.